თვითმმართველი თემი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულო

# გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა № 25

„20“ აპრილი 2016 წელი

## თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-26 მუხლის მეოთხე პუნქტის შესაბამისად,

1. მიღებულ იქნეს ცნობად თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ
2. განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე;
3. განკარგულების გასაჩივრება შეიძლება თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, დ.აღმაშენებლის გამზ. №41) მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე პაატა გიორგობიანი

# ანგარიში

## თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა კომისიის 2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

თვითმმათველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისია საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის და საკრებულოს იურიდიულ საკითხთა კომისიის დებულების საფუძველზე და მის შესაბამისად.

იურიდიულ საკითხთა კომისია, კანონით მინიჭებულ უფლებამოსილების ფარგლებში შეიმუშავებს, განიხილავს და საკრებულოს სხდომისათვის ამზადებს საკრებულოს სამართლებრივი აქტების პროექტებს, მონაწილეობს საკრებულოში შემოსული პროექტების განხილვა-დამუშავებაში, ამზადებს სამართლებრივ დასკვნებს და წარუდგენს საკრებულოს. იურიდიულ საკითხთა კომისია ზედამხედველობას უწევს საკრებულოს სამართლებრივი აქტების შესრულებას და საჭიროების შემთხვევაში სამართლებრივ დასკვნებს წარუდგენს საკრებულოს. კომისია განიხილავს და შეიმუშავებს წინადადებებს საკრებულოს რეგლამენტის, საკრებულოს კომისიების, საკრებულოს აპარატის დებულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ, აგრეთვე ამზადებს სამართლებრივ დასკვნებს გამგეობის და გამგეობის სტრუქტურული ერთეულების დებულებათა პროექტებში ცვლილებების შეტანის საკითხებზე.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, 2015 წლის საანგარიშო პერიოდში თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა კომისიამ ჩაატარა 15 სხდომა. კომისიის მიერ შემუშავდა და ინიცირებულ იქნა 18 გადაწყვეტილების პროექტი, აქედან 14 განკარგულება და 4 დადგენილება, შემდეგ საკითხებზე:

1. ფრაქციების დაფუძნების შესახებ.
2. სიმბოლოების (გერბი და დროშა) სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.
3. სიმბოლოების (გერბი და დროშა) ესკიზების შესარჩევი კონკურსის გამოცხადების შესახებ.
4. საკრებულოს რეგლამენტში ცვლილებების შეტანის შესახებ.
5. საკრებულოს წევრების (გარდა თანამდებობის პირებისა) უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების შესახებ.
6. თვითმმართველი თემი-თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო და ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის დებულებებში ცვლილებების შეტანის შესახებ.
7. თვითმმართველი თემი-თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების და სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდობის საქმეთა კომისიის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ.

იურიდიული საკითხთა კომისიამ მონაწილეობა მიიღო გამგეობიდან მიღებულ 168 გადაწყვეტილების პროექტის განხილვა- დამუშავებაში.

თვითმმართველი თემი თელავის მუნიციპალიტეტის იურიდიულ საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით და მისი დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში.

კომისიის თავმჯდომარე: ნ. ნანა ხვისტანი